№ 254 8 ქრისტეშობისთვე, პარასკევი 1866—1879 8 ქრისტეშობითსვე, პარასკევი № 254

დროება

უკველ დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შ. დინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ცალკე თითი — 5 კ.პ., პატარათი — 4 კ.პ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის საქალაქო ბიბლიოთეკა

მომავალ 1880 წელს

„დროება“-„ივერიის“

გამოცემაზედ

მომავალ 1880 წლის 1 იანვრიდამ გაზეთი „დროება“ და ჟურნალი „ივერია“ შეერთდებიან და იყოლიებენ ერთსა-და-იმავე საერთო რედაქციას, რომელიც შესდგება ამ ორივე ჟურნალ-გაზეთის აწინდელ რედაქციებისაგან და თანამშრომლებისაგან.

გაზეთი „დროება“ გამოვა ყოველ დღე, როგორც აქამომდე, მხოლოთ ფორმატი (თაბახის სიერცე) უფრო დიდი ექნება. ჟურნალი „ივერია“ კი გამოვა სამს თვეში ერთხელ სიერცით თორმეტი დიდი თაბახი.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში: „დროების“ რედაქციაში, სოლოლაკი, ბაღის (ხადოვის) ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

ფასი

				წელიწადში.	6 თვეს.	3 თვეს.
„დროება“ და „ივერია“	—	ერთად		— 13 მან.	— 7 მან.	— 4 მან
ცალკე: „დროება“	—	—		— 9 „	— 5 „	— 3 „
ცალკე: „ივერია“	—	—		— 6 „	— 4 „	— 2 „

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირდა — 5 კაპეიკი.
— — „ივერიისა“ — 2 მანეთი.

სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება“-„ივერიისა“ { თ. ილ. ჭავჭავაძე. სერ. მესხი.

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	— —	25	—12 პენსი
ბამბურღი	— —	127	— „ ცენტი
პარიჟი	— — —	264	— „ სანტიმი
ფენა	— — —	213	—25 ჰფენიგი

ბაკასიის კერასინი — — —

ტელეგრამები

(ხალხთა შორის ტელეგრაფის სააგენტოსი).

ლონდონი, 3 დეკემბერს. ბენერალი რობერტსი იწერება, რომ ომი ჯერ არ შეწყეტილა და მტრები მოდიან უფრო და უფრო. რობერტსმა თავის ჯარს მოუყარა თავი შერპურგთან; ბაბულის ახლო მთები დააგდო. ბენერალი ბაუ, რომელიც ბანდამაკშია და არბოხსნოტი ჯელალაბადში უნდა მიეშველნენ ბაბულს; ჯერ გზა არ არის დაჭერილი, მაგრამ ეშინიათ, რომ აგიტაცია სხვა სხვა ხალხებშიც არ გავრცელდეს.

პეტერბურღის ბირჟა, 4 დეკემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემი —	—94	—50
მეორე — — —	— 92	—50
მესამესი — —	— 94	—75
მეოთხესი — —	— 94	— „
ალმოსაელეთის პირ.	— 90	—50
ალმოსაელეთის მეორე	— 90	—50
ალმოსაელეთის, მესამე	— 90	—37
ოქრო, ½ იმპერიალი	— 7	—87

თფილისის საადგ.-მამ. ბანკის
გირაოს ფურცელი — „— „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები

	მან.	კაპ.
პირველი სესხის—	— 232	— „
მეორე სესხის —	— 227	—25

საქართველო

ღღიური

*** ღღეს, ნაშუადღეევის მეორე საათზე გამოასვენეს ფერის ეკკლესიიდამ და დაასაფლავეს პალტაციდამ მოსვენებული გვამი მიცვალებულის კნიაგინა სოფიო იაკობის ასულის სვიატოპოლკ-მირსკისა. მთელი ქალაქის წარჩინებული პირნი, ამქარი და ბევრი სხვა ხალხიც დაესწრო მიცვალებულის გასვენებაზედ.

*** სომხურ გაზეთს „მშაკში“ იწერებიან, რომ რაც სომხური ტრუპპა დაწესდა თფილისში, მას აქედ შვიდმეტი წარმოდგენა ჰქონდათო და ამ შვიდმეტ წარმოდგენაში მხოლოთ ორი იყო ისეთი, რომელიც მაყურებელმა კარგათ გაიგოვო, ეს ორი იყო უფ. სუნდუკიანცის კომედიები „პეპო“ და „ხათაბალა.“

„ხათაბალის“ წარმოდგენის დროს, გაელილ ხუთშაბათს, ავტორს უფ. სუნდუკიანცს, საზოგადოებამ მიართვა საჩუქარი ოქროს კალამი და მოოქროული საწერელი.

*** ჩვენ მივიღეთ მ. დ. ღამბაშიძისაგან შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდათ:

„პირველ ამ თვის „დროების“ ნომერში იყო სხვათა შორის „ღღიურში“ ერთი პატარა შენიშვნა, რომელიც შეხებოდა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის სამღრთო სჯულის მასწავლებელს მ. მაკავარიანს და რომელზედაც ეწერა, რომ ის ძველებურათ ასწავლის „აქედამ აქამდის“-ის მეტოდით სამღრთო ისტორიასაო.

„როგორც მეც შევიტყვე და როგორც შაგირდებმაც დამარწმუნეს, სრულებით

უსაფუძვლოთ მოუხსენებიათ ეს თქვენთვის. ბევრმა შაგირდებმა დამარწმუნეს, რომ ზეპირათ წიგნში ისტორიას ის არ გვასწავლისო; თავისი სიტყვით გვეუბნება და ისე თხოულობს ჩვენგანაცაო.

„თქვენც კარგათ იცით, რომ მ. მაჭავარიანი ჩემი ნათესავი არაფერია და არც მეგობარი, მაგრამ სიმართლე მაიძულებს ამ წერილის მოწერას და იმედი მაქვს, ადგილს მისცემთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.“

*** ბორის უეზდიდამ გვწერენ, რომ იქითკენ მეტად გახშირებულიაო რქიანი და ურქო საქონლების ქურდობა. ამ გვარი ქურდობის მოსასპობლად, ან შესამსუბუქებლად მაინც, მაზრის უფროსის თანაშემწისაგან დარიგდა სოფლებში, ყოველივე სამამასახლისოში ბრძანება, რომლითაც ის სასტიკად ეუბნება ხალხს იქონიონ თვალ-ყური დევნა ყოველივე იმ გამსყიდველებზედ, რომელთაც მოჰყავთ ბორის უეზდში ცხენები, ან რქიანი საქონელი და თუ ამათ არ ექნებათ კანონიერი რწმუნება თავის ადგილობრივი უფროსისაგან ანუ მოხელეებისგან, დაიჭირონ და წარადგინონ ბორის სამმართველოში. აგრეთვე უცხადებს სოფლის მოხეირიბთ, რომ იისაც სურდეს საქონლის გაჰყიდვა, მივიდეს სოფლის სამმართველოში, აიღოს რწმუნება, რომ სწორეთ თავის საკუთრება რაიმეს ჰყიდის, თორე იმას იცნობენ ქურდათ და მოეპყრობიან კანონისაებრ. მოწმობაში დაწვლილებით უნდა იხსენიებოდეს: ვის, სახელდობრ, ეკუთვნის საქონელი და როგორი ნიშნების არის ისა? და ს.ხ.

ჩვენ გვეგონია, რომ ეს საშუალება სარგებელი იქნება ქურდობის შემცირებისთვის, თუ როგორც ჩვენს მაზრებში, ისე სხვებშიაც კანონათ იქცა ამ გვარათ ვაჭრობა პირუტყვებისა; მაგრამ თავდაპირველათ კი,—სანამ მთელი მაზრების მცხოვრებლები გაიგებდნენ, და შეეჩვეოდნენ, დიდი და ბევრი გათოკვა მოხდება! ბევრი მართალი გაითოკება!

*** იქიდგანვე გვწერენ, რომ მაზრის უფროსის თ. რ. ერისთვის მეცადინეობით ყოველ სოფელში ხალხი გაცხარებულად მუშაობს გზებსაო. საცა უბრალო გზები და დამტერეული ხიდი—ბოგირებია, მშვენიერად ჰმართავენო და ბორში კი უპრავა ქუჩების კეთებაზედ არა ზრუნავსო. ზოგან ისეთი ტლაპოებია ამ ჟამად, რომ ფაეტონებიც ვერ გაუტარებიათო. ამ ცოტას ხანში სოფლის გზები კიდევაც დაემჯობინება ბორის ქუჩებსაო...

„დროების“ კორრესპონდენცია

ზაქათალის მაზრიდამ, 28-ს ნოემ-

ფელეტონი

ისტორიული მასალები.

(ბაგრძელება *)

რუსის ჯარში ყოფილიყო მელქონ მეფისა შვილი: ეს შეიტყვეს თუ არა თათრებმა, ცოლ-შვილი გაუყიდეს, ბოლოს რომ დამშვიდდა, ახალციხელმა ქრისტიანებმა მუთი-აღის მაშვალობით შეიხსნეს და ასრე გაანთავისუფლეს. შეეტყო თავის ცოლ-შვილის შეიწროება, ნაღვლით თუ სნეულებით მომკედარიყო მელქონ მეფისა შვილი! ამ დროს აჰყარეს ივლიტის კათოლიკობა, რომ 600 მოსახლემდის ყოფილან და გარდმოასახლეს ახალციხეს. ამას მერმედ უკან წავიდა ივლიტა და ნელ-ნელა გატიალდა...

1811 წ. 2 თებათვეს უაეთან-ულიაჯი (ხონარიანი ხმალი) მოუვიდა მეფეს მისის კაბითა. აჰმად-ბეგი წავიდა ჯარით აჭარას სელიმ-ფაშას დასაჭერად, მაგრამ ვერ შეიძლო, ისევ უკან მობრუნდა.

ამ წელსვე 9 ქრისტეშობისთვეს ახალქალაქის ციხე აიღო რუსმა. ეს არ ეამათ ოსმალოებს, შეუდგათ დიდი ვაი-ვაგლახი, თავში ცემა, შეჰკრიბეს ჯარი და იწყეს ომის მზადება. მეორე წელიწადს ოჯახლის ჯარი წავიდა ახალქალაქს რუსზედ. 14 თებერვალს შარიფ-ფაშა წავიდა ხერთვისს რუსზედ. შებმულიყვნენ რუს-ოსმალო ორჯერ, მაგრამ რუსის ჯარს ძალა ექმნა, 300 ენიჩარი გაწყვეტილიყო, მალე თვალი გასტეხოდათ ოსმალოებს და მოშლილიყვნენ! ამით შარიფ-ფაშას სახელი გაუტყდა; აჰმად-ბეგი რომ აჭარას წავიდა, სელიმ-ფაშის დასაჭერად და ცარიელი უკუ მოიქცა, მერმე სელიმ-ფაშა პირდა-პირ წავიდა აზრუმს და რაც ბრალები დაეტეხა, ყოველფერი შარიფ-ფაშის მცბიერებით ყოფილიყო და კიდეც თავი იმართლა. ეს საქმე შეეტყო თუ არა შერიფ-ფაშამ, აფოროზი მოეშალა: ბევრი აქეთ-იქით ვარდა, ბევრი ლონე-საშუალი იხმარა, მაგრამ რა გაუხდეთოდა, რომ ალარ იქმნა მისიგულისა, 24 მაისს შავშეთს გაიქცა.

27 აღზი აჩუდი, ბაშალას რომ უძახდნენ ხიზაბავრელები, მუსალიმად გარდა სელიმ-ფაშა ხიმმიაშვილისა. შემდეგ სელიმ-ფაშა მოვიდა თან მოიყვანა აზრუმითგან თავისი ქეჰა. 17 მარიობ. კათოლიკე მღვდლები ტყვედ ჩასვეს რაღაცა უბრალო მიზეზისათვის. შუბაშ ალას რომ ყავა-შაქარი დააკლდებოდა ამისთანა საქმეებს დაიწყობდა. რამდენიმე ქერა გაანთავისუფლებდა ამგვარ უცაბედ ტყვეებსა. რამდენიმე ჰაითები (მილიციისავით რაღაც ჯარი იყო) გაცარცვეს; ძვაბლიანში ოლქელებმა. ძვაბლიანის ოლქის ჯარი მაშალა და უდის კათოლიკები აიკლეს, რაც შეხვდათ, ხელად გასტაცეს, გაალარიბეს ერთვიან სოფელი 12 ქეჰა აზრუმს წავიდა, საფაშაო საქმეების გასაუმჯობესებლად. ფაფა შავშეთზედ წავიდა შარიფ ფაშას დასამონებლად, ბევრი საშვალი ლონის ხმარების შემდგომ, რომ არც ტკბილობით, არცა-რა სიმწარით გაუხდა-რა, მიატოვა და უკან წამოვიდა, ამ იმედით, რომ მის შეჩენილთ კაცებს ეგება შეეგონებინათ რამე და მოსცილებოდა იქაურობრს. თვალ-საჩინო, ყურ[illegible] ლირის და შესანიშნავი ჩვენ[illegible] ახლა გახლავს ციხე და იქნება შიმშილის მქადელი ზამთარი. აქ თავითვე პურის თალარი 15 მანეთათ გადის; ესევე თალარი შარშან იყიდებოდა 5 მანეთად.

საშინელი წარმოსადგენია მომავალი გაზაფხულის პირი. ამბობენ, რამდენიმე ალაგას აქვთო დაფარულად პურების ორმოები შენახულიო: ღმერთმან ინებოს, რომ ეს მართალი იყო; მხოლოდ საკვირველი იგი არის, რომ ბევრნი გლეხთაგანი სათესლე პურს ვერსად შოულობენ, თუ სადმე იყიდეს ისეთი ალაგები მათ ეცოდინებოდათ.

ჩვენი მხარე ისეთი მდიდარია თავის ნაყოფიერობით, რომ, თუ აქაური ხალხი ცოტათი მაინც გამჭრიახე იყოს, თავის დღეში შიმშილობის წარმოდგენაც არ ექმნებოდათ.

სამწუხაროც იგი გახლავს, რომ ჩვენ პატარათი დიდზედ დიდამდინ გულით ჯანგ-მოკიდებულნი და ჭკვით გლახაკნი ვართ. მერმე ისეთ ბრმათ გლახაკნი, რომ შკოლების და განათლების ხალხში გავრცელება მიგვაჩნია თითქმის მავნებელად. როცა იკითხავთ—როდის უნდა გაიხსნას სახელოსნო სასწავლებელი? მაშინვე ამ ლამაზ პასუხს იძლევიან: შკოლები მავნებელნი არიანო, იგინი ამრავლებენო გლეხებისთვინ არზების დამწერებსო, თუ თავიანთვინ რამე გაი-

კეთეს, ეს არაფერია, სულ სხვას არზებს უწერენო და ფასსაც არ იღებენო და ზოგნი კი, რომელთაც უფრო ფხაჭნა კარგათ იციანო, პატიოსან პირებს გაზეთით ლაფში სერიანო.

ამისთანა ჩვენს ლაყ-ტვინის მოქმედობაში, არამც თუ ბუნებითად შიმშილობა გვეწვეოა, ის ტურები და მგლები, რომელნიც ასე ბლიმათ დასეირნობენ ჩვენს სოფლებში, მთლად დავრჩებით შეჭმულნი.

ახლა ისიც კი უნდა ვიკითხოთ: ჩვენ, არა-კლიაუზნიკები და არა-სათოკეები რაღას ვაკეთებთ? აი რას:

1) ქოთუქლოს მცხოვრებს გლეხს შარი მოუდეთ, რომ იგი უბილეთო პირებს ინახავს, მას დავაწერეთ 210 მანეთი ჯარიმა და როცა ეს ვერ შემოიტანა, გაუყიდეთ ოთხი უღელი და სამი საწველი კამეჩები; გარდა ამისა თვითონ ის და მისი და დავატუსაღეთ შეურაცყოფობისთვინ.

2) ერთს ს. მამასახლისს 300 მანეთი წავაყრევინეთ და ალიბათიროს კი მარტო 25 მანეთი.

3) ზაფხულში ჩაფარს გავატანეთ ერთი ტუსაღი, რომელიც მას გაექცა ს. ჩომანქოლის გვერდით. ამაზედ შარი აუტეხეთ ჩომანქოლელების საზოგადოებას და 500 მანეთი ჯარიმა წავართვეთ დამშიებულ გლეხობას... იგინი ლეკები

ბას, ან მეშფოთრობიდგან ხელი აეღო, მეორე წელიწადს (1813) მოვიდა ახალციხეს სელიმ-ფაშა, აწყვრის ფაშა მოაკვლევინა და ბალოს ჩახაოღლები გააწყვეტინა, თვითან აჭარას გადვიდა და ჩახალ ოღლებისგან მოოხრებული მამულ-დედული შოიწყო; შემდეგ ისევ ახალციხეს გარდმოვიდა.

რომ ყოველი საშვალი მოიხმარა და არ იქმნა შარიფ-ფაშის მორბილება, დაუწყო ჯარს შემოკრება. რა მოემზადა, გაილაშქრა შავშეთს შარიფ-ფაშაზედ. ამ დროს გაჩნდნენ შუა მაშუალები და უნდოდათ როგორმე მოერიგებინათ. ბაჩერეს ახალციხის ჯარი ორი თვე; საქმე ისევ გუკეთელი დამთა ორ წყალთა შუა: შარიფ მცბიერობდა, დროებას ეძებდა და სელიმ-ფაშას გულ-მართლობით მისი პირი და გული ერთ რიგი ეგონა. ამისთვის ოლთის გარდვიდა, მოუცადა საქმის ბოლოს. დეკემბრის თვეში პატრი ფილიპე უმფროსი აბატუმანს დაატყვევეს და მეორე დღეს ჯარიმის გარდახდეინებით გამოუშვეს. 1814 წ. სელიმ-ფაშამ ჯარი დაიბარა ახალციხიდგან, წავიდნენ ლივანას შა-

---

ბარეთ. ახალციხელებს გამარჯვებოდათ პირველად და დასდევნებოდნენ მოშლილ ჯარს შარიფისა, შეეტყველიათ საბუსუნოში წინ და უკან მოხვეულიდნენ ხევ-ღელებიდგან და მოეშალათ ახალციხის ჯარი. სელიმ-ფაშა ახალციხეს დაბრუნდა.

ამავე წელს კიდევ მეფის სოლომონის თაობაზედ სელიმ-ფაშა იმერეთს წავიდა; იქიდამ მალე დაბრუნდა და გააწყო, გაარიგა, რაც შეიძლებოდა ახალციხის საქმეები; მაგრამ გული კი ფარდნილი ჰქონდა, ისე იყო თითქმის ეკალზედ ზის, დღე-ღამ მოსვენებაარ ჰქონდა.

1815 წ. აღზი აჩუღი მოვიდა ხერთვისითგან. ეს მტრობდა მეტად ხიზაბავრელებს, რომლის გამო დიდი ძალა ადგათ, სწორედ მტარვალი იყო თურმე. მაგრამ ამის ყველა ბოროტობას წინ უდგა იქაური მღვდელი კათოლიკებისა ანტონ ხუციანოვი, მალ-მალ ჩამოვიდა ფაშებთან პირდაპირ შევიდოდა უშიშრად დაიცვეა ხოლმე ხიზამბერელებსა ყოველ შემთხვევაში და მიჰქონდა მაშალის გასამტყუნებელი ბძანებაები! ეს

რამდენჯერმე ნათამაშევი ჩვენს სცენაზე. „ძუნწიცა“ და თ. რაფიელ ერისთვის კომედიაც უფრო ხუმრობა-ცინცალა ჰგვანან, ვინემ ნამდვილ კომედიას. აზრითა და სიბრძნით არც ერთი არ არის გატეენილი; მაგიერად სცენისათვის, სათამაშოდ, ორივე ჩინებული რამ არის.

ამგვარი კომედიები ჰკარგავენ თავის ნაკლულევანებასა და განსაკუთრებით კარგათ გამოდიან სცენაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იმათ კარგი მოთამაშე—ალმასრულებლები, ნიჭიერი აქტიორები და აქტრისები არდგენენ,

ეს ბედი ჰქონდა ამ კომედიებს გავლილ ოთხშაბათს; უმთავრესი როლები „ძუნწში“, კარაპეტ დაბალოვის (ძუნწის), იმერლისა და მოახლისა ჰქონდათ ისეთს დახელოვნებულ მოთამაშეებს, როგორიც არიან: უფ ვ. აბაშიძე, ქოტე მესხი და ნ. ზაბუნიასა.

უფ. ვ. აბაშიძემ სწორეთ გაგვაკვირვა და გვასიამოვნა თავის არტისტიულის, შეუდარებელის წარმოდგენით ძუნწი სოფეხის როლისა. საზოგადოთ თ. ზ. ერისთვის კომედიებს და მომქმედ პირებს ის ნაკლულევანება აქვთ, რომ სიტყვაზე, ხშირად ცინიკურ ფრაზებზე არის მთელი კომედია დამყარებული და არა კომიკურს მოქმედებაზედ. ძუნწ სოფეხს ეს ნაკლულევანება სხვა თ. ზ. ერისთვის მოქმედ პირებზე მომეტებუ-

---

მღვდელი და ბაშ-აღა ასე გარდაკიდებული ყოფილან ერთმანერთზედ, მაგრამ ბაშ-აღას კიცეც ჰყვარებია ეს მღვდელი სიმართლისა, ენა პიროსნობისა და უშიშრობისათვის. ბოლოს ისე ჩამომტერებია თავის მალ.მალ ფაშებთან დაბეზღებისათვის, რომ კაცები შეუმჩნეია გზებზედ მოსაკლავად, ნიჯგარის გზაზედ, ვენახებისა და სამყინვაროზედ, რომელიც ძველი გზაა ახალციხისა, ამ შემთხვევაში ანტონ მღვდელი მდარაჯებს ჩიხორიშის კლდეებითგან გაჰპარვია ახალციხეს, აუღია ქალალდი ფაშისაგან და ისევე გზა კარგეთ ქვეითად შეჰპარვია ხიზაბავრას და შემდგომ ის ქალალდი თვითონვე ჩაუტანია და მიურთმევია ბაშ-აღისთვის; იმას მაშინვე მოუკითხია თავის დარაჯები და გზებში უნახიათ ყველა მზვერავად; მაშინ მთხვევია ხელზედ მღვდელსა და ხალათით დაუსაჩუქრია. მას მერმედ სრულ იმ მღვდლის ნებაზედ უვლია.

ვინმე-მესხი

თეატრი

ქართული წარმოდგენა

5 დეკემბერს.

თ. ზიორგი ერისთვის სამ მოქმედებიანი კომედია „ძ უ ნ წ ი“ და თ. რაფიელ ერისთვის ორ მოქმედებიანი კომედიავე „ჯ ე რ დ ა ი ხ ო ც ნ ე ნ, მ ე რ ე დ ა ქ ო რ წ ი ლ დ ნ ე ნ“ ითამაშეს.

ორივე ძველი კომედიები არიან

ლად თუ არა, ნაკლებათ არა აქვს, მაგრამ უფ. ვ. აბაშიძის თამაშში თქვენ იმისთანა სიტყვები კი არ გაცინებდათ-როგორც მაგ. „გამდის, სულ გამდის“ და სხვა ამგვარები, არამედ მდგომარეობა კომიკური, კომიკური მოქმედება ძუნწისა, იმის ბუნებითი, ნამდვილი მიხვერა-მოხვერა, სიცყვა-პასუხი და სხვ.

როცა რომელიმე მოთამაშე, რომლისთვისაც ღმერთს სცენიკური ნიჭი არ მიუცია, ამისთანა როლს თამაშობს, ძნელად თუ შეუძლია მოითმინეს, რომ მაყურებლების გასაცინებლად, ცოტა მაინც არ გადაჭარბოს, ფარსი არ დაიწყოს. ნამდვილი ნიჭის თვისება კი გადაჭარბებას, გრეხა მანჭვას არ მოჰყვება და სიტყვებით კი არ გახდის თავის როლს სასაცილოდ, არამედ თვით მოქმედებით, მდგომარეობით; მაყურებლების გასაცინებლად ის ერთ თითსაც არ გაანძრევს. აქტიორი ის არის, ვინც ნამდვილად, ცოცხლად წარმოგვიდგენს თავის როლს და სრულიადაც არ დასდევს იმა—გაიცინებს იმის თამაშობით მაყურებელი, თუ არა.

სწორეთ ამისთანა არის უფ. ვ. აბაშიეძე და ნამდვილ ნიჭსაც იმიტომ ვეძახით ჩვენ იმას.

ბადაუჭარბებელად და უჭარსოთ ძნელია აგრეთვე თ. ბ. ერისთვის პიესებში გამოყვანილი იმერლის როლების თამაშობა. და მართლაც, თ. ვლადიმირ აბაშიძის შემდეგ, ჩვენს სცენაზე ეს როლები ნამდვილად არ წარმოდგენილა. მხოლოთ ახლა უფ. კ. მესხის თამაშში ვატყობთ, რომ არც ის ცდილობს უშნოდ სიტყვების კლაკვნითა და ხტომა-გრეხით გააცინოს მმაყურელი; ის გვიხატავს ჩვენ სცენაზე ნამდვილ იმერელ ბიჭს თავის ენით, თავის მიხვერა-მოხვერით, თავის გაიძვერობითა და ეშმაკობით, არც მეტს, არც ნაკლებს. ამიტომაც არის, რომ ეს ბუნებითი, ძალდაუტანებელი თამაში უფ. კ. მესხისა მაყურებელ საზოგადოებას ასე მოსწონს და ასე გულიანად, მადიანად აცინებს ყველას.

შეყვარებულ თავად არჩილის როლი უფ. მ. ჩაბელმა კარგათ, მოხდენილად წარმოგვიდგინა. მტკიცდება თან-და-თან ჩვენგან ერთხელ გამოთქმული აზრი უფ. მ. ჩაბელზე: რომ ის მეცადინეობს, კეთილ-სინიდისიანად ეპყრობა თავის საქმეს და ამიტომ, თუმცა დიდი ნიჭის პატრონი არ არის, მაგრამ სცენისათვის მაინც ძალიან გამოსადეგი მოთამაშე გამოდგება-მეთქი.

მაგიერად იოსელიანის ქალმა სრულიად გააფუჭა გასათხოვარი შეყვარებული ქალის როლი. ეს, მგონია, მეოთხეჯერ ვხედავთ იოსელიანის ქალს სცენაზე და მხოლოთ ერთი რაღაც უბრალო როლი არ გაუფუჭებია იმას..

თ. რაფაელ ერისთვის კომედიის წარმოდგენა თითქმის უფრო ცოცხლად წავიდა, ვინემ „ძუნწისა“.

უმთავრეს როლს (სომხისას, ოსებ შაპლუტოვი) უფ. კ. ყიფიანი თამაშობდა. ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ უფ. ქენჭაძე ამას წინათ უკეთ თამაშობდაო ამ როლს, ვინემ ახლა კ. ყიფიანმა ითამაშაო. თუმცა კ. ყიფიანი საზოგადოთ მოხუცებულების როლებში ცოტა არ იყვეს ერთ-გვარია, თითქმის ყოველ მოხუცებულს ერთნაირად წარმოგვიდგენს, მაგრამ რაც უნდა იყოს, [illegible] ყიფიანის თამაში და სად [illegible] ყიფიანი, როგორც ნიჭი, მოთამაშე, როგორც სცენის-მცოდნე აქტიორი ერთიხუთად მაინც უფრო მაღლადგას, ვინემ, უფ. ქენჭაძე.

უფ. თომაშვილს ერთსა-და-იმავე დროს თავის თამაშობაზედ და იოსელიანის ქალის თამაშობაზედაც გამოუთქვამს აზრი: „—ერთი როლი მქონდა და ისიც იოსელიანის ქალმა გამიფუჭა“! ამაზე ჩვენ არაფრის დამატება არ შეგვიძლიან.

ბაბუნიას ქალს თავის მოხუცებული ქალის როლის თამაშით ყოველთვის აღტაცებაში მოჰყავს საზოგადოება და ახლაც მოიყვანა. მართლაც, აღტაცებაში მომყვანია იმის ნიჭიერი თამაში.

საუბედუროთ, ამ ჯეროობითაც ცოტა საზოგადოება დაესწრო ქართულ წარმოდგენას. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ვინც გავლილ წარმოდგენაზე არ დაესწრო და შეიტყო—თუ რა ჩინებული, რა ცოცხალი, მხიარული და ნამდვილ-ესტეტიკური სიტკბოების მომნიჭებელი წარმოდგენა იყო, ბევრს ინანებდა...

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ბორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი. . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი. . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი.	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
ბორი	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისი. .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი

	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს,	2	—
პეტერბურგს, ვარშავს	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში . .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში.	3	75

ფოჩტა

	კაპ
ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.		
წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		
ლია წიგნის	3	
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	7	

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი 30 ნოემბ.		
ფქვ. თეთ. ბანჯგისა ფუთ.	2	50
ფქვ. წითელი . .	2	10
ქერი ფუთი . . .	1	45
ბამბა ერევნისა, ფუთი.	8	70
—ამერიკისა, ფუთი .	9	50
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	10	70
მატყლი თუშური ფუთი.	7	60
—მარაქამისა ფუთი .	3	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	10
ქონი ფუთი . . .	4	80
ქონის სანთელი ფუთი.	7	60
სტეარინის სანთელი ფ.	11	60
ხორცი ძროხისა .ლიტრა	—	9
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	9
სპირტი ვედრო . . .	4	50
შაქარი ბროც. ფუთ .	8	40
—ფხვნილი ფუთი .	5	70
ყავა რგვალი გრვ. .	—	65
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	13	50
თამბაქო ხაშეალთ ფ.	6	70

თფილისის სამკურნალო.

ერევნ. მეიდ., წინამძღვაროვ. ხახლი. ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ორშაბათს: ლისიცევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ურავლევი—ვენერიულის და კანისა; ბაბოვი—გულისა და შინაგ.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგ, ასტავაცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყ. და ურავლევი—კანის და ვენერიულის.

პარასკევს იქნებიან: ლისიცევი, შინაგ.; ასტავაცატუროვი—ვენერ. და კანის; ბაბაევი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

შაბათს: ვერმიშევი, შინაგ.; ურავლევი.—ვენერ. და კანის, რეიხი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Декабръ 1879 г. Типографія Меликова Зампмц. ს. მელიქიშვილი რედ. ს. მესხი